სკოლის ფილოსოფია

შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლა-ლიცეუმი „სანთელის“ ფილოსოფია ეფუძნება სკოლის ინსტი ტუციურ განვითარებას და გამოყოფს მისი განვითარების 5 ძირითად მახასიათებელს: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამ ოქმედო გეგმები, რომლებიც მნიშვნელოვანი ელემენტებია სკოლის გა ნვითარებისთვის. სკოლა-ლიცეუმის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ (მშო ბლები, მოსწავლეები, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლაში დასაქმებული პირები) რომელთა გააზრება, ხელშეწყობა და განვითარება ემსახურება სკოლის მდგრადობას, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გრძელვად იან მართვას.

სკოლა-ლიცეუმის განმარტება- ტერმინი „ლიცეუმი“ არის ზოგადსაგანმანა თლებლო დაწესებულების ერთ-ერთი ტიპი; სახელის შერჩევისას ვიხელ მძღვანელეთ ჩვენი დიდი წინაპრის ილია ჭავჭავაძის მიერ ბრძნული ნააზრევიდან რომ,„ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს. ერთ სანთელზედ რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთულს ამით არც ალი დააკლდება, არც სინათლე,,არც სიცხოვლე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა“

.

მისია

ჩვენი მისიაა; სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სწავლეზე ორიენტირებულ უსაფრთხოხო გარემოში, ინოვაციური და ეფექტური მეთოდების დანერგვით მოტივირებული თაობის აღზრდა. არაფორმალური და ფორმალური განათლების ორგანული სინთეზირებით მოსწავლემ შეძლოს ქვეყნის სიყვარულის, ურთიერთ პატივისცემის , ტრადიციებისა და ღირებულებების გააზრება.

ხედვა

სკოლა, უახლოესი ათწლეულის განმავლობაში საზღვრავს, სკოლის განვით-თარების პერსპექტივას იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირე ბული ცოდნის კერა. იზრუნოს თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა ათა შესაბამისად, თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამო-ყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ღირებულებები

სამართლიანობა- სკოლა აღიარებს სამართლიანობის პრინციპს და თავისი საქმიანობის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მონაწილეობითი მართვა- სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არისი ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭირვალე. გადაწყვეტილე ბის მიღების დამომზადების პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელზეც აისახება ეს გადაწყვეტილება;

ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა-სასკოლო საზოგადოება იზიარებს ურთიერთ თანამშრომლობის პრინციპებს და პასუხისმგებე ლია თავის ქმედებებზე.

ეფექტურობა- სკოლა ეფექტურად განკარგავს ფინანსურ , ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. მაქსიმალური შედეგის მისაღწევად სკოლა იყენებს შეფასების და თვითშეფასების სისტემას და ორიენტირებუ-ლია შედეგზე;

უსაფრთხოება-სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღი სასწავლო და სამუშაო პირობებით უსაფრთხო გარემოს, სადაც ყველაა იცავს ეთიკის ნორმებს და შინაგანაწესს.